საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

Legal Entity Public Law

**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**

**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 10 „21" 11 2019წ.

## დადგენილება № 61

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო 60 -კრედიტიან პროგრამაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად:

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო 60-კრედიტიან პროგრამაში და პროგრამას დაემატოს შემდეგი სილაბუსები: „STEM-ის მიმართულების საგნების სწავლების მეთოდიკა 1" და „STEM-ის მიმართულების საგნების სწავლების მეთოდიკა 2".
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.
4. საფუძველი: გაათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის 20 სექტემბრის N07/07 გადაწყვეტილება.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, ქ. მეზაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი — მაკა ბერიძე

რუსთაველის ქ. №113. 0800 ქ. ახალციხე, საქართველო
113, Rustaveli str., 0800 Akhaltsikhe, Georgia
http://www.sjuni.edu.ge

ტელეფონი: 5(91) 411 288 Tel.
ფაქსი: +995 365 22 19 90 Fax
ელ–ფოსტა: rector@sjuni.edu.ge E-mail
ელ–ფოსტა: contact@sjuni.edu.ge E-mail